

საქართველოს კანონი

“სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის მე-2 მუხლის მ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მ) სააპელაციო პალატა – “საქპატენტთან” არსებული სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავის განმხილველი ორგანო;”

2. კანონის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 4. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები

1. სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც:

ა) არ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს;

ბ) წარმოადგენს ერთ ასოს ან ციფრს ორიგინალური გრაფიკული შესრულების გარეშე ან ცალკე აღებულ მხოლოდ ერთ ფერს;

გ) არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ;

დ) აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად;

ე) საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც გარკვეული სახის საქონლის გვარობითი ცნება;

ვ) წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვაში იმ საქონლისათვის დამახასიათებელ საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს ან სიმბოლოს, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია;

ბ) შეურაცხყოფის ან ეწინააღმდეგება ეროვნულ ღირსებებს, რელიგიასა და ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს;

თ) შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ;

ი) მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით ემთხვევა უცხო ქვეყნის გერბს, დროშას, ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; საერთაშორისო ან სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას; ოფიციალურ საკონტროლო, საგარანტიო, სასიხფ დაშლას, ნიშანს (მათ შორის, საქონლის შესაბამისობის სასერტიფიკაციო ნიშანს), ბეჭედს, ორდენსა და მედალს; საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის არსებულ ან ისტორიულ დასახელებას, გერბს, დროშას, ემბლემას, ფულის ნიშანს ან წარმოდგენს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სიმბოლოების იმიტაციას. ასეთი სიმბოლოები სასაქონლო ნიშანში შედის დაუცველი ნაწილის სახით, თუ არსებობს საქართველოს კულტურის სამინისტროს ან მფლობელის ნებართვა.

2. სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება ისეთი მოცულობითი ნიშანი, რომლის ფორმაც:

ა) განპირობებულია მხოლოდ საქონლის თვისებებით;

ბ) აუცილებელია ტექნიკური შედეგის მისაღწევად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის “გ”, “დ”, “ე”, “ვ” და “თ” ქვეპუნქტები არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების შედეგად, ეს ნიშანი განმასხვავებელ სიმბოლოდ დამკვიდრდა განაცხადში მითითებული საქონლის მიმართ.”

3. კანონის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 5. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედეგებითი საფუძვლები

1. სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ ის:

ა) იმავე საქონლის მიმართ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტურია;

ბ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტურია და საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

გ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;

დ) საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა. სასაქონლო ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება ხდება “საქპატენტის” სააპელაციო პალატის ან სასამართლოს მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში;

ე) შეიცავს საქართველოში დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნას ან ადგილწარმოშობის დასახელებას ან ასეთი გეოგრაფიული აღნიშვნის ან ადგილწარმოშობის დასახელების იდენტური ან იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება მასთან აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გეოგრაფიული აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება ჩართულია არადაცვისუნარიან ელემენტად მისი გამოყენების უფლების მქონე პირის სასაქონლო ნიშანში;

ვ) საქართველოში დაცული სამრეწველო ნიშნის იდენტურია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას ითხოვს ამ სამრეწველო ნიშნზე განსაკუთრებული უფლების მფლობელი;

ზ) მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია, რომელსაც საქართველოში აქვს კარგი რეპუტაცია და ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება განმცხადებელს დაუმსახურებლად უქმნის ხელსაყრელ პირობებს ან ზიანს აყენებს დაცული სასაქონლო ნიშნის რეპუტაციას. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქონლის ჩამონათვალი სხვადასხვაა;

თ) შეიცავს საქართველოში ცნობილი პიროვნების სახელს, ფსევდონიმს, ფაქსიმილეს, პორტრეტს – ამ პიროვნების ან მისი მემკვიდრეების თანხმობის გარეშე, ხოლო თუ ისინი საქართველოს ისტორიისა და კულტურის

კუთვნილებას წარმოადგენენ – საქართველოს კულტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე;

ი) შეიცავს საქართველოს ისტორიული ძეგლების დასახელებას ან გამოსახულებას – საქართველოს კულტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე.

2. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია დაუშვებელია, თუ:

ა) მისი რეგისტრაცია ხდება არაკეთილსინდისიერი განზრახვით;

ბ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება პარიზის კონვენციის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში ამ სასაქონლო ნიშნის მფლობელის წარმომადგენლის ან აგენტის მიერ თავის სახელზე სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე;

გ) სასაქონლო ნიშანი შეიცავს საფირმო სახელწოდებას, რომელიც იწვევს აღრევას;

დ) ამგვარი რეგისტრაციით ირღვევა მესამე პირის სააუტორო უფლებები.”

4. კანონის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 8. სასაქონლო ნიშნის გამოქვეყნება საცნობარო ლიტერატურაში

თუ სასაქონლო ნიშნის რეპროდუქცია ლექსიკონში, ენციკლოპედიაში ან სხვა საცნობარო ლიტერატურაში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს გვარეობით ცნებას იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც ის რეგისტრირებულია ან მოითხოვება მისი რეგისტრაცია, გამომცემელი, აღნიშნული ნიშნის მფლობელის მოთხოვნით, ვალდებულია ამ საცნობარო ლიტერატურის მომდევნო გამოცემებში აღნიშნოს, რომ გამოქვეყნებული სიმბოლო რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს წარმოადგენს.”

5. კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. პრიორიტეტი სასაქონლო ნიშანზე დგინდება განაცხადის შეტანის თარიღით, თუ განაცხადზე ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზისათვის დადგენილი საფასური გადაიხდება განაცხადის შეტანიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში.”

6. კანონის მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

“6. თუ რამდენიმე სასაქონლო ნიშანს დაუდგინდა ერთი და იგივე პრიორიტეტი, უპირატესობა ენიჭება სასაქონლო ნიშანს, რომლის ფაქტობრივი გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ადრე დაიწყო.”

7. კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ა) მოითხოვოს ექსპერტიზის ნებისმიერ ეტაპზე საკუთარი განაცხადის განხილვის შეჩერება დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ. შეჩერების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს;”

8. კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ე) ქვეპუნქტი:

“ე) დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ აღადგინოს საქმისწარმოება განაცხადზე. განაცხადზე საქმისწარმოების აღდგენა დასაშვებია, თუ მისი შეწყვეტა მოხდა განაცხადის მონაცემების ამ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად გამოქვეყნებამდე.”

9. კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. არსობრივი ექსპერტიზა ამოწმებს, არსებობს თუ არა ამ კანონის მე-4 მუხლითა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები.”

10. კანონის მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

“4. “საქპატენტს” შეუძლია გადასინჯოს არსობრივი ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე “საქპატენტში” ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული უფრო ადრეული პრიორიტეტის მქონე განაცხადის შეტანასთან დაკავშირებით.”

11. კანონის მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2<sup>1</sup> პუნქტი:

“2<sup>1</sup>. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე არსობრივი ექსპერტიზის მიერ საქონლის მთლიანი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ გამოტანილი უარყოფითი გადაწყვეტილების სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილების საფუძველზე დადებითი გადაწყვეტილებით შეცვლის შემთხვევაში "საქპატენტი" განაცხადის მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში."

12. ამოღებულ იქნეს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი.

13. კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. განაცხადის მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სააპელაციო პალატაში გაასაჩივროს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, დაუშვებელია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება სააპელაციო პალატაში იმავე საფუძველით."

14. კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. სააპელაციო პალატა საჩივარს იხილავს მისი შეტანის დღიდან 3 თვის ვადაში."

15. კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. თუ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში სააპელაციო პალატაში არ იქნება შეტანილი სააპელაციო საჩივარი ან, მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად შეტანილი საჩივრის საფუძველზე, სააპელაციო პალატა გამოიტანს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ, "საქპატენტი" აწარმოებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას სასაქონლო ნიშნების რეესტრში (შემდგომში - რეესტრი) და მონაცემებს რეგისტრირებული ნიშნის შესახებ აქვეყნებს ბიულეტენში."

16. კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ამ კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო მონაცემების თითოეული ცვლილება შეტანილი იქნება რეესტრში სასაქონლო ნიშნის მფლობელის ან მისი

წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. ამასთან, სასაქონლო ნიშნის ცვლილებისას დასაშვებია მხოლოდ ისეთი უმნიშვნელო ცვლილება, რომელიც არ აფართოებს მისი დაცვის ფარგლებს, ხოლო საქონლის ჩამონათვლის ცვლილებისას დასაშვებია მხოლოდ მისი შეზღუდვა. ცვლილება ძალაშია მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ.”

17. კანონის მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

“4. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასური არ იქნა გადახდილი ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში გადაიხადოს აღნიშნული საფასური. ამ ვადის გაშვების შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია უქმდება რეგისტრაციის მოქმედების გასვლის დღიდან აღდგენის უფლების გარეშე.”

18. კანონის მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

“5. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მისი მფლობელის მოთხოვნით გაუქმდა, რეგისტრაციის აღდგენა დაუშვებელია.”

19. ამოღებულ იქნეს კანონის 21-ე და 23-ე მუხლები.

20. კანონის 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 24. სასაქონლო ნიშნის გამოყენება

1. სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება (საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ისეთი ქმედებები, როგორცაა მისი აღბუყდვა იმ საქონელზე, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია, ასევე ამ საქონლის შეფუთვაზე, გამოფენასა და ბაზრობაზე წარმოდგენილ ექსპონატებზე, აბრაზე, ოფიციალურ ბლანკზე, ეტიკეტზე, რეკლამაში, ბუკდვით გამოცემაში, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის სხვაგვარი გამოყენება, მფლობელის, ლიცენზიატის ან მესამე პირის მიერ მფლობელისაგან მინიჭებული უფლების საფუძველზე. სასაქონლო ნიშნის გამოყენებად ითვლება რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ნაცვლად მისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული ნიშნის გამოყენებაც.

2. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის საქართველოს ტერიტორიაზე ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გამოყენებისას და სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვისას, უცხო ენაზე შესრულებულ სიტყვიერ სასაქონლო ნიშანთან ერთად მითითებულ უნდა იქნეს მისი ქართული ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაცია.

3. ისეთი სასაქონლო ნიშნების გამოყენება, რომლებშიც საქართველოში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა ან ადგილწარმოშობის დასახელება არადაცვისუნარიან ელემენტად არის ჩართული, დასაშვებია შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს ნებართვით, რაც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეს საქართველო წარმოადგენს."

21. კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"6. თუ "საქპატენტი" სასაქონლო ნიშნის გადაცემის შესახებ წარდგენილი საბუთების საფუძველზე მიიხსენეს, რომ სასაქონლო ნიშნის გადაცემამ შეიძლება მომხმარებელს მცდარი წარმოდგენა შეუქმნას იმ საქონლის თვისებების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის, მწარმოებლის ან სხვა მახასიათებლების შესახებ, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია, "საქპატენტი" რეესტრში არ შეიტანს ცნობას გადაცემის შესახებ, ვიდრე არ მიიღებს უფლებამონაცვლის თანხმობას ჩამონათვალიდან შეცდომაში შემყვანი საქონლის ამოღების თაობაზე."

22. კანონის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. ლიცენზიატს ეკრძალება სალიცენზიო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა ან ქველიცენზიის გაცემა, იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან."

23. კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"6. სალიცენზიო ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში სასაქონლო ნიშნის მფლობელს უფლება აქვს გამოიყენოს ამ კანონით გათვალისწინებული თავისი განსაკუთრებული უფლებები ლიცენზიატის მიმართ, თუ დარღვევა ეხება ხელშეკრულების ვადას, სასაქონლო ნიშნის გამოყენების ფორმას, იმ საქონლის ჩამონათვალს, რომლისთვისაც გაიცა ლიცენზია, ტერიტორიას,

სადაც სასაქონლო ნიშანი შეიძლება იქნეს გამოყენებული, საქონლის ხარისხს.”

24. კანონის 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 27. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს „საქპატენტი“:

ა) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მოთხოვნით;

ბ) სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადის გასვლის შემთხვევაში, თუ ვადა არ გაგრძელდება ამ კანონის მე-20 მუხლით დადგენილი წესით;

გ) სასაქონლო ნიშნის მფლობელი ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას არ დარჩა მემკვიდრე, ან იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ არ არსებობს უფლებამონაცვლე;

დ) თუ არსებობს ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე განაცხადი.

2. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ:

ა) სასაქონლო ნიშანი არ გამოიყენებოდა უწყვეტად 5 წლის განმავლობაში იმ საქონელზე, რომლის მიმართაც ეს ნიშანი რეგისტრირებულია საქართველოში. იმ შემთხვევაში, თუ ნიშნის გამოყენება დაიწყო ან განახლდა აღნიშნული ხუთწლიანი ვადის გასვლიდან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შეტანამდე შუალედში, არაის არა აქვს უფლება მოითხოვოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება;

ბ) სასაქონლო ნიშანი გახდა გვარუბითი ცნება იმ საქონლისთვის, რომლის მიმართაც ის რეგისტრირებულია;

გ) არსებობს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დროს;

დ) სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით სასაქონლო ნიშნის გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის საქონლის სახეობის, თვისების, ხარისხის, ღირებულების, ან გეოგრაფიული წარმოშობის, ან სხვა მახასიათებლების შესახებ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი არ გამოიყენება, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი სასაქონლო ნიშნის გამოყენებლობას მისი გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობით გაამართლებს.

სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებისგან დამოუკიდებლად წარმოშობილ გარემოებებად, რომლებიც სასაქონლო ნიშნის გამოყენებისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს, ჩაითვლება, მაგალითად, სასაქონლო ნიშნით დაცულ საქონელთან დაკავშირებით დაწესებული იმპორტის შეზღუდვები ან ხელისუფლების მიერ დადგენილი სხვა მოთხოვნები.

4. თუ სასაქონლო ნიშნის გაუქმების საფუძვლები არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ, რეგისტრაცია უქმდება მხოლოდ ამ ნაწილზე.

5. საქონლის მთელი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანება რეესტრში და ცნობა ამის შესახებ ქვეყნდება ბიულეტენში.”

25. კანონის 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 28. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა

1. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა ხდება სასამართლოს მიერ მესამე პირის მოთხოვნით, თუ სასაქონლო ნიშანი ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნათა დარღვევითაა რეგისტრირებული.

2. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძვლები არსებობს საქონლის რეგისტრირებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ, რეგისტრაცია ბათილად იქნება ცნობილი მხოლოდ ამ ნაწილზე.

3. საქონლის მთელი ჩამონათვალის ან მისი ნაწილის მიმართ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანება რეესტრში და ცნობა ამის შესახებ ქვეყნდება ბიულეტენში.”

26. კანონის 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 29. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების ან ბათილად ცნობის შედეგები

1. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია გაუქმდა ამ კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციით მინიჭებული უფლებები შეწყვეტილად ითვლება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ ჩანაწერის რეესტრში შეტანის

დღიდან, თუ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში სხვა თარიღი არ იქნება მითითებული.

2. თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ბათილად იქნა ცნობილი ამ კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციით მინიჭებული უფლებები შეწყვეტილად ითვლება სასაქონლო ნიშანზე ამ უფლებების წარმოშობის დღიდან.

3. ზიანის ანაზღაურების საკითხები წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.”

27. კანონის 30-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 30. უფლებები კოლექტიურ ნიშანზე

1. კოლექტიური ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც ამ კანონის მე-3 მუხლით შეიძლება იქნეს დაცული სასაქონლო ნიშნად და რომელიც განასხვავებს კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრთა საქონელს სხვა პირთა საქონლისაგან გეოგრაფიული წარმოშობის, ერთნაირი ხარისხობრივი მახასიათებლების ან სხვა თვისებების მიხედვით.

2. კოლექტიური ნიშნის განმცხადებელი და მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ გაერთიანება ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

3. აკრძალულია კოლექტიური ნიშნის გადაცემა ან ამ ნიშანზე ლიცენზიის გაცემა.

4. კოლექტიურ ნიშანზე მთლიანად ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული წესები, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.”

28. კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის “დ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკრძალუებიდან, გამონაკლისის სახით, კოლექტიურ ნიშნად დასაშვებია ისეთი სიმბოლოს რეგისტრაცია, რომელიც წარმოადგენს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის აღნიშვნას (ადგილის, რაიონის, რეგიონის, ქვეყნის სახელი ან სხვაგვარი აღნიშვნა, რომელიც მიუთითებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე).”

29. კანონის 33-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 33. კოლექტიურ ნიშანზე განაცხადის ექსპერტიზა

კოლექტიურ ნიშანზე განაცხადის არსობრივი ექსპერტიზის დროს ამ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ერთად დგინდება აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი ამ კანონის 30-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, აგრეთვე 32-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთან, ექსპერტიზა არ გამოიტანს უარყოფით გადაწყვეტილებას კოლექტიური ნიშნის რეგისტრაციაზე, თუ განმცხადებელი შეასწორებს კოლექტიური ნიშნის დებულებას ისე, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი აღარ იარსებებს.”

30. კანონის 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 41. მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მიხედვით საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოზე გავრცელებული სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზა

1. სასაქონლო ნიშანზე, რომლისათვის საქართველოში დაცვის მინიჭება მოითხოვება მისი საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მიხედვით (შემდეგში – საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი), ტარდება მხოლოდ არსობრივი ექსპერტიზა.

2. ამ კანონის I – V თავებში გამოყენებული ტერმინის “რეგისტრაცია” ნაცვლად, სათანადო შემთხვევებში, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში გამოყენებულ იქნეს ტერმინი “დაცვა”.”

31. კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის საქართველოში დაცვის მინიჭების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღი და ნომერი დამატებით ქვეყნდება ბიულეტენში გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.”

32. ამოღებულ იქნეს კანონის 43-ე მუხლი.

33. კანონის 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 44. ეროვნული განაცხადის წარდგენა გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე

1. გაუქმებული საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მადრიდის შეთანხმების პროტოკოლის მე-9-პუნქტის მუხლის შესაბამისად ეროვნული განაცხადის შეტანისას, განაცხადთან ერთად განმცხადებელმა უნდა წარადგინოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიუროს მიერ დამოწმებული საბუთი, რომლითაც დასტურდება, რომ საერთაშორისო რეგისტრაცია გაუქმებამდე ვრცელდებოდა საქართველოზე.

2. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ეროვნული განაცხადის "საქპატენტი" შეტანის დღისათვის "საქპატენტის" მიერ მიღებულია გადაწყვეტილება შესაბამისი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანისათვის დაცვის მინიჭების თაობაზე, ეროვნულ განაცხადს არსობრივი ექსპერტიზა არ უტარდება.

3. თუ საერთაშორისო რეგისტრაციის გაუქმების დღისათვის საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს საქართველოში მინიჭებული ჰქონდა დაცვა, "საქპატენტი" ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ეროვნულ განაცხადზე ატარებს მხოლოდ ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რის შემდეგაც აწარმოებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას რეესტრში და მონაცემებს რეგისტრირებული ნიშნის შესახებ აქვეყნებს ბიულეტენში."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.